ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3032653

ნომერი: AR1467511

თარიღი : 28.12.2016

გაცემის თარიღი : 10.01.2017

გაცნობის თარიღი : 10.01.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ჯანსუღ ვაშაყმაძე პ/ნ 01002004162
- თბილისი ვ.ბოჭორიშვილის ქ. N 37 ბ. 6

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

AR1467511 28.12.2016 წ. განაცხადის პასუხად, სადაც ითხოვთ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით: #01.72.14.038.424 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდას გაცნობებთ, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის საკითხი უნდა იქნეს განხილული ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულიების საკითხთა კომისიაზე,
იმისათვის, რომ ზემოაღნიშნულმა საბჭომ განიხილოს საკითხი დამატებით წარმოდგენილ უნდა იქნეს სრულყოფილი დასაბუთება, დაზუსტებულ უნდა იქნეს ქალაქთმშენებლობითი პარამეტრის მომატების საკითხიც.
თქვენს მიერ წარმოდგენილი საპროექტო მიწის ნაკვეთის გენგეგმის მიხედვით, სამშენებლო განვითარება ხდება მხოლოდ საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა -1 (სსზ-1)-ის არეალში, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის დადგენილი კოეფიციენტიც კ2-3.5 საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-1 (სსზ-1)-ის შესაბამისად არის დაფიქსირებული.
ვინაიდან მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები გაცემულია –საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 3 (სსზ–3); საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1 (სსზ-1); საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1)-ის პარამეტრებით, დაზუსტებულ უნდა იქნეს ქალაქთმშენებლობითი პარამეტრის მომატების არეალი მოიცავს მხოლოდ საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-1 (სსზ-1)-ის არეალს, თუ მთელს მიწის ნაკვეთს, იმ შემთხვევაში თუ იგეგმება მხოლოდ ერთი ფუნქციური ზონის განვითარება, ვერ მოხდება პარამეტრის გადამეტების საკითხის განხილვა, რადგან აღნიშნულზე მსჯელობა შეიძლება მხოლოდ მთლიანი მიწის ნაკვეთის რესურსის ათვისების კუთხით . ასეთ შემთხვევაში უნდა მოხდეს საკადასტრო ერთეულის გამიჯნვა.
გარდა ამისა დასაბუთების ალბომში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ავტოსადგომების საკითხი, ვინაიდან მოქმები კანონმდებლობით გეგმარებითი კარკასის ზონაში-რომელიც ვრცელდება წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე კ2-ის საანგარიში ფართობის ყოველ 150 კვ.მ-ზე გათვალისწინებული უნდა იქნეს ერთი ავტოსადგომი; აღნიშნულიდან გამომდინარე საკითხის ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს სხდომაზე განსახილველად უნდა წარმოადგინოთ სრულყოფილი დასაბუთება პარკირების სქემით/სქემებით და კ2-ის საანგარიშო ფართობის მითითებით.
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განცხადების ჩაბარებიდან 30 დღიანი ვადა მითითებული დოკუმენტების წარმოსადგენად; დანიშნულ ვადაში მოთხოვნილი დოკუმენტის არწარმოდგენის შემთხვევაში, საკითხი დარჩეს განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.